ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

ქ. ქუთაისი 24/ივნისი/ 2014 წ.

წინამდებარე მემორანდუმი წარმოადგენს ურთიერთთანამშრომლობის შესახებ შეთანხმებას, რომლის ხელმომწერი მხარეები არიან:

ერთი მხრივ ააიპ „ქუთაისის ტრენინგ-ცენტრი, ს/კ 412695294 (შემდგომში „ცენტრი") წარმოდგენილი მისი დირექტორის გიორგი ბერიას სახით და

მეორე მხრივ ქუთაისის სამედიცინო სკოლა ს/კ 412672157 (შემდგომში „სკოლა") წარმოდგენილი მისი რექტორის იოსებ კაჭახიძის სახით

1. **შეთანხმების სფერო**

მხარეები თანხმდებიან ერთობლივ კოორდინირებულ საქმიანობაზე ქუთაისის სამედიცინო სკოლის სტუდენტების მაღალი კვალიფიკაციის პროფესიონალებად ჩამოყალიბების, მათი პიროვნული პოტენციალის რეალიზაციის, პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებისა და თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის მქონე პროფესიონალებად მომზადების მიზნით.

2. **მხარეთა ერთობლივი მიზანი**
   2.1. მემორანდუმის მიზანია მხარეთა ინტერესების გათვალისწინებით ურთიერთთანამშრომლობის ხელშეწყობა და განვითარება.
   2.2. ურთიერთთანამშრომლობის პრინციპები:
   - ერთობლივი საქმიანობის წარმოების შესაძლებლობა;
   - საერთო საქმიანობის საფუძველზე მიღწეული საერთო სარგებელი;
   - ერთობლივი საქმიანობის ფარგლებში ინფორმაციის გაცვლა.

3. **მხარეთა თანამშრომლობის ფორმები:**
   - ერთობლივი სემინარების, ტრენინგებისა და სამეცნიერო კონფერენციების ორგანიზება;
   - ერთობლივი პროექტების განხორციელება;
   - ინფორმაციისა და გამოცდილების ურთიერთგაზიარება;
   - ერთობლივი საქმიანობის სხვა ფორმები, რომლებიც შეიძლება იყოს ურთიერთშეთანხმების საგანი.

4. **ერთობლივი საქმიანობის კოორდინაცია:**
   მემორანდუმში მონაწილე თითოეული მხარის მიერ გამოყოფილი იქნება კონკრეტული პიროვნება ერთობლივი საქმიანობის საკოორდინაციოდ. მხარეები თანმხდებიან პერიოდული შეხვედრების აუცილებლობაზე ზემოაღნიშნული ერთობლივი ინიციატივების ხელშეწყობისთვის.

5. **დაფინანსება:**
   - წინამდებარე მემორანდუმის ფარგლებში ერთობლივი საქმიანობა დაიგეგმება და განხორციელდება თითოეული მონაწილე მხარის ინტერესებისა და ადამიანური, მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური რესურსების გათვალისწინებით.
   - წინამდებარე მემორანდუმის ფარგლებში ერთობლივი საქმიანობის ფინანსური უზრუნველყოფა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განისაზღვრება ყველა მონაწილე მხარის ინტერესებისა და ფუნქციების გათვალისწინებით.

6. **სხვა პირობები**

6.1. მხარეები აცნობიერებენ, რომ აღნიშნული თანამშრომლობა ხორციელდება მხარეთა ორმხრივი ინტერესების გათვალისწინებით და ხელს უწყობს კვალიფიციური პროფესიონალების ჩამოყალიბებას.

6.2. მხარეთა ინტეგრაცია ეფუძნება იმ გარემოებას, რომ მათ გააჩნიათ ასეთი ურთიერთთანამშრომლობისთვის ყველა აუცილებელი წინაპირობა: საინფორმციო-საკონსულტაციო

ხელშეწყობა, კვლევითი და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების პროგრამების მომზადებისა და განხორციელების გამოცდილება და ა.შ.

6.3. მხარეები გამოიყენებენ მათ ხელთ არსებულ ყველა საშუალებასა და შესაძლებლობას, რაც ხელს შეუწყობს ერთობლივი პროექტების განხორციელებას.

6.4. წინამდებარე მემორანდუმი გამოხატავს მხარეთა სურვილს ითანამშრომლონ ამ მემორანდუმით გათვალისწინებულ სფეროში, შესაბამისად წინამდებარე დოკუმენტი მხარეთათვის შესასრულებლად სავალდებულო პირობებს ან/და რაიმე სახის ინვესტიციის განხორციელებას (მათ შორის ფინანსურს) არ ითვალისწინებს. ამასთან, მხარეები თანხმდებიან, რომ ყოველ ცალკეულ პროექტთან დაკავშირებით გაფორმდება კონკრეტული ხელშეკრულება.

6.5. მხარეები ადასტურებენ, რომ მემორანდუმის ხელმოწერით არ ქმნიან ამხანაგობას, იურიდიულ პირს ან მის მსგავს წარმონაქმნს და არ ეწევიან ერთობლივ საქმიანობას.

6.6. წინამდებარე მემორანდუმი ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს ხუთი წლის ვადით.

6.7. თითოეულ მხარეს ნებისმიერ დროს აქვს შესაძლებლობა 1 თვით ადრე წერილობით აცნობოს მეორე მხარეს მემორანდუმის შეწყვეტის შესახებ. ამ მემორანდუმის შეწყვეტის შემდეგ მხარეებმა უნდა განახორციელონ ყველა აუცილებელი ღონისძიება მემორანდუმის ფარგლებში უკვე დაწყებული პროექტების დასასრულებლად.

6.8. მემორანდუმი შედგენილია 2 თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად ქართულ ენაზე თითო ეგზემპლარი თითო მხარისათვის.

„ქუთაისის ტრენინგ-ცენტრი“

გიორგი ბერია
დირექტორი

ქუთაისის სამედიცინო სკოლა

იოსებ კაკახიძე
რექტორი